წელიწადი პირველი. — № 4. ხუთშაბათი, 13 ივლისი 1906 წ.

ფასი 6 კაპ.



ფასი გაზეთისა: წლის დამლევამდე 1 მ. 60 კ., სამის თვით — 80 კ., ცალკე ნომერი 5 კ. ყველის მოწერა მიიღება რედაქციაში: **(საპიორის ქუჩა, № 43)** და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში.

3144

ყოველკვირეული სახალხო გაზეთი

შინაარსი

როგორ უნდა მოვაწყოთ საქმე. — „ხალხი“, ლექსი დუტუ მეგრელისა. — გლეხის წერილები, ქართველი გლეხისა. — ჯარი, მაღლისა. — ში ჩიტაძე, ამხანაგისა. — სოფლის ბობოლები, გლეხიშვილისა — ჩვენებური ამბები. — რუსეთი. — ქრისტე ამ ქვეყნად, ტა ისა.

„გლეხის“ რედაქცია ღია არის ყოველდღე კვირა-უქმე დღეების გარდა, დილის 10 საათიდან 12 საათამდის.

„გლეხის“ კანტორა თავის აგენტების საყურადღებოდ აცხადებს, რომ თითო ცალი გაზეთისა მათ დაეთმობათ 4½ კაპ.

გარდა ამისა კანტორა უმორჩილესად სთხოვს აგენტებს ანგარიშის გასწორება დააჩქაროონ და ეცადნენ თვეში ორჯერ წარმოადგინონ გაყიდულ გაზეთის ფული.

როგორ უნდა მოვაწყოთ საქმე

გლეხკაცობამ უნდა იბრძოლოს მიწისა და თავისუფლებისათვის; ერთიც და მეორეც დღეს მისთვის აუცილებლად საჭიროა. თუ გლეხს მიწა არ ექნა, ისევ მშიერი და ღატაკი იქნება, თუ გლეხმა თავისუფლება არ მოიპოვა, ისევ სხვისი ყმა და მონა იქნება.

„მიწა და თავისუფლება“, გაიძახიან მთელი რუსეთის გლეხები; მიწა და თავისუფლება უნდა მოიპოვონ გლეხებმა. ამ ვნახოთ, როგორ უნდა მოეწყოს მიწის და თავიბუფლების საქმე, ვის ჩამოერთმევა მიწა და ვინ ისარგებლებს მიწით? როგორ უპატრონებს თავის თავს განთავისუფლებული მშრომელი გლეხკაცობა და მასთან მთელი მუშა ხალხი?

მთელ რუსეთში და კერძოდ ჩვენს საქართველოში სამუდამოთ მოისპობა მიწის საკუთრება. ამიტომ, რაც დღეს მიწაა ხელმწიფის და მისი ნათესავების, ეკლესია-მონასტრების, ხაზინის და კერძო მემამულეების ხელში, სუყველა გადავა მშრომელი ხალხის განკარგულებაში. არავის არ შეუძლია დაესაკუთროს მიწას, ვერავინ იყიდის მიწას, ვერც გაყიდის, ვერც დააგირავებს, ვერც გადასცემს თავის მემკვიდრეს; ვერავინ დაეპატრონება მიწას თავის ნებით, მიწა მთელი ხალხისა იქნება, მიწა იქნება საზოგადო, საერთო საკუთრება და მხოლოდ ხალხს, საზოგადოებას, შეუძლია გადასცეს მიწა ამა თუ იმ კაცს სასარგებლოთ და დასამუშავებლად.

ვის აქვს ნება ისარგებლოს მიწით? ყოველს სრულ წლოვანს ადამიანს, იქნება იგი ქალი თუ კაცი, სულ ერთია, — შეუძლია მოითხოვოს საზოგადოებისაგან მიწა დასამუშავებლად იმდენი, რამდენიც საჭიროა მისი თავის და მისი ოჯახის დასარ-

ჩენად. თუ მას სხვა შემოსავალიც აქვს, მაშინ მიწა მიეცემა ნაკლები. არავის არ შეუძლია მიიღოს იმაზე მეტი მიწა, რამდენის დამუშავებას მოახერხებს თვითონ, საკუთარის ძალღონით, ან თავის ოჯახის შემწეობით. მიწა შეუძლია მოითხოვოს როგორც ცალკე ადამიანს, ისე მთელს ოჯახს, ამხანაგობას, სოფელს ერთად. არ შეიძლება მიწის იჯარით გაცემა, ხოლო თუ ვისმე ჰქონდა მიღებული მიწა და მუშაობდა მიწაზე, მაგრამ შემდეგ უძლურობისა ან სხვა რამე უბედურობის გამო ვერ მოახერხა მუშაობა, მას შეუძლია დროებით გასცეს ეს მიწა იჯარით.

ყოველს სრულწლოვანს ქალსა და კაცს შეუძლია მოითხოვოს მიწა სახლის დასადგმელად, რომელშიაც იცხოვრებს თვითონ, ან სხვა შენობისათვის, რომელშიაც ის და მისი ოჯახი საკუთარის ძალღონით აწარმოებენ რაიმე საქმეს (მაგალითად, აქვთ სახელოსნო). ყველას შეუძლია აგრეთვე უფასოთ მიიღოს შეშა თავის ბინის გასათბობად და საკუთარი საჭიროებისათვის, ქვა და ხე-ტყე სახლის ასაშენებლად, სარი, წნელი და სხვა, რაც კი დასჭირდება თავის ოჯახში სახმარებლად. ვისაც უნდა მიწაზე გასაქირავებელი სახლი ააშენოს, ან ისარგებლოს ხეტყით, ქვით, მადნებით, ან მიწის სხვა სიმდიდრით ქარხანასა თუ ფაბრიკისათვის, ფულის მოსაგებად, — იმან ყველაფერში ამაში ფასი უნდა გადაიხადოს — საზოგადოების სასარგებლოთ.

ასე უნდა მოეწყოს საზოგადოთ მიწის სარგებლობის საქმე. მიწა უნდა გადაეცეს დასამუშავებლად მიწის მუშებს. ვინც იმუშავებს, მხოლოდ იმას შეუძლია მიიღოს მიწა, მხოლოდ იმისია მიწა. მაგრამ მიწა არავის არ გადაეცემა სამუდამოთ, მიწა მიეცემა მშრომელებს მარტო დროებით. ათი თორმეტი წლის შემდეგ ყოველთვის მოხდება ხელახალი განაწილება, დაყოფა მიწებისა. ეს იმიტომ, რომ ზოგს შეიძლება მეტი დასჭირდეს მიწა, ვიდრე უნდოდა წინეთ, ზოგს კიდევ—ნაკლები: ზოგ ოჯახში თუ რვა სულია, მაგალითად, შეიძლება მერე თორმეტი იყოს, ან ნაკლები. მაშინ ხომ ოჯახს უნდა მოუმატოთ მიწა, ან უნდა მოუკლოთ. შეიძლება ისეც, რომ ვინმე მთლად მიატოვოს სოფელი და მიწის მუშაობა, მაშინ მისი მიწა სხვას უნდა გადეცეს.

ყოველს სრულწლოვანს ქალსა თ... კაცს შეუძლია მოითხოვოს და მიიღო... მიწა, მაგრამ მეტყვით: ზოგს სოფელ... ბევრი აქვს მიწა, ზოგს ნაკლები, — რ... გორ უნდა დააკმაყოფილოთ იმ სოფელ... მუშები, სადაც ცოტაა მიწა? რასაკვ... ველია, სადაც მიწა არაა, იქ ძალათ ვ... გავაჩენთ მიწას. ამისთანა შემთხვევაში სო... ლის ნაწილს მიეცემა მიწა იქ, სადაც ი... ვება, ან ისე მოეწყობა რომ ყველა გლ... ხებს ზოგი მიწა თავის სოფელში მიეცე... მა, ზოგი სოფლის გარეთ. აგრეთვე ტ... და საძოვარი ყველგან არაა საყოფი, ზ... გან სრულებითაც არ მოიპოვება; ამისთ... სოფელს სხვა ადგილებში მიეცემა ტ... და საძოვარი.

ვინ უნდა მოაწყოს მიწის საქმე, ვ... უნდა გაანაწილოს მიწები და ადევნ... თვალყური, რომ ყველას მიეცეს მიწა ი... დენი, რამდენიც საჭიროა და რამდენ... დამუშავება შეუძლია? რასაკვირველ... მიწის პატრონი და მომწესრიგებელი უ... და იყოს ის ხალხი, ვინც სარგებლ... მიწით, ვინც მუშაობს. მიწის საქ... მოაწყობს ის, ვინც მიწაზე მუშაო... ყოველი თემის (სოფლის) მიწის მუ... ბი უნდა განაგებდენ იმ მიწებს, რ... ლებიც მიწერილი იქნება თემზე. სოფ... ყრილობა გამოიძიებს, ვის რამდენი და... ჭირდება მიწა და ისე დაურიგებს ყველ... უპატრონებს, რომ არავინ გააოხროს საზ... გადო მიწა, არავინ გააფუჭოს ტყე. სო... ფელი შეატყობინებს სამამასახლისოს, თ... არ ეყოფა ის მიწა, რომელიც სოფელზ... მიწერილი. სამამასახლისოს მიწის მუშებ... მა პირადად და თავის არჩეულ რწმუნ... ბულების შემწეობით უნდა უპატრონ... და განაგონ ის მიწები, რომლებიც მიზ... მილი იქნება სამამასახლისოს საჭიროებ... სათვის. რამდენიმე სამამასახლისო შ...

დგენს ერთ მაზრას და მაზრის მიწების საქმეს მოაწყობენ პირადად, ან რწმუნებულების შემწეობით მთელის მაზრის მიწის მუშები. რაც გუბერნიაში მიწებია, ამას უპატრონებენ გუბერნიის მუშები. მთელი საქართველოს მიწები უნდა განაგონ მთელი საქართველოს მუშა ხალხის არჩეულმა კაცებმა და მთელი რუსეთის მიწებს უნდა უპატრონონ მთელი რუსეთის ხალხის მიერ არჩეულმა რწმუნებულებმა.

ამ გვარად თვითონ მიწის მუშა ხალხი პირადად ან რწმუნებულების შემწეობით გაუძღვება და მოაწყობს მიწის საქმეს. ასწერს, თუ სად რამდენი და როგორი მიწაა, რომელ თემს, სამამასახლისოს, მაზრას და გუბერნიას რამდენი სჭირია სახნავი მიწა, საძოვარი თუ ტყე. გაანაწილებს მიწებს საჭიროების დაგვარად, უპატრონებს საზოგადო ქონებას, ეცდება და თვალყურს ადევნებს, რომ არავინ არ დაიჩაგროს და ყოველთვის ჰქონდეს მიწა იმას, ვისაც უნდა მიწის მუშაობა.

მუშა გლეხკაცობისათვის პირველი საჭიროება მიწაა და თვითონ გლეხობამ, მუშა ხალხმა უნდა მოაწყოს მიწის საქმე. დღევანდელი მთავრობის იმედი ნულარავის ექნება, ის ვერაფერს გააკეთებს და მას არც უნდა რაშე გააკეთოს ხალხისათვის. სახალხო საქმეს თვითონ ხალხმა უნდა მოჰკიდოს ხელი.

ხ ა ლ ხ ი.

—:—

ხალხი ლაჩარი, ხალხი მონა
მეზიზღებოდა;
ხალხი, ვერ მცნობი თავისს თავის,
მებრალებოდა
და ვკითხულობდი: „დადგება დრო,
იგი განახლდეს?
შეიგნოს თვისი ძლიერება,
აღსდგეს, ამაღლდეს
და შეებრძოლოს მხნე, მედგარი,
მტარვალ-მჩაგვრელებს,
რომ ქედ მოხრილი, აღარ ღვრიდეს
სისხლისა მცრელებს;
რომ მოიპოვოს სასურველი
თავისუფლება
და მოიშოროს სამუდამოდ
ტანჯვა-წვალება“?..

*
* *

ხმა იდუმალი, დადგებაო,
მეუბნებოდა;
გულიც ამ ტკბილ წამს მოუთმენლად
ელოდებოდა,
და ჰა კიდევაც დადგა ეს დრო,
დრო სანატრელი,
როცა ჰქუხს ქვეყნად, თან საამო,
თან საშინელი
ხალხის ბრძოლის ხმა, თითქო თვით
ღელავს, ღრიალებს (ზღვა
და თავსზარსა სცემს დაშინებულ
მჩაგვრელ-მტარვალებს!..
ხალხი მებრძოლი, ხალხი გმირი
სულს მინეტარებს;
ხალხი შემგნები თავისს ძალის
მაფრთოვნ-მახარებს!..

ლუტუ მეგრელი

1906 წ.

გლეხის წერილები

—:—

სათათბირო და ხალხი.

ჩვენ ყოველთვის იმ აზრისა ვიყავით, რომ სახელმწიფო სათათბირო ხალხს ვერც მიწას მისცემს და ვერც თავისუფლებას. ვერ მისცემს იმიტომ, რომ მთავრობა სათათბიროს კრიჭაში უდგა და ხელის განძრევის ნებას არ აძლევს.

„გლეხის“ პირველ ნომერში მე ვუამბე მკითხველებს მთავრობისა და სათათბიროს ბრძოლის ამბავი. მიწის შესახებ ორივეს დიდი კინკლაობა მოუვიდათ და მაშინ საქმე იმით გათავდა, რომ სათათბირომ კარგად გამოლანძღა მინისტრები და გაუშვა. იმის შემდეგ მთავრობა ისევ თავის გზას დაადგა, სახელმწიფო სათათბირო კი მიწის შესახებ კანონის შედგენას შეუდგა. ვინ იცის რამდენი სიტყვა დაიხარჯა ამ კანონზე, ვინ იცის კიდევ რამოდენას დახარჯავდენ, მაგრამ აღარ დასცალდათ: ხელმწიფემ სახელმწიფო სათათბირო დაითხოვა და ახალი არჩევნები დანიშნა.

რა მოხდა? რად დაითხოვა? რად გაუწყრა ჩვენი „გულკეთილი“ და „მოწყალე“ ხელმწიფე ხალხსა და იმის წარმომადგენლებს?

აი რა მოხდა და აი რად გაუწყრა „მამა“ ხემწიფე სათათბიროს:

ხალხის წარმომადგენლებმა რომ მიწაზე დაიწყეს ლაპარაკი, ერთმა ალთას გაიწია, მეორემ—ბალთას, მესამემ—მარჯვნივ და მეოთხემ—მარცხნივ. მსხვილი მემამულეები ამბობდენ, მიწა კერძო საკუთრებაა და არავის ნება არ უნდა ჰქონდეს ძალით ჩამოართვას სხვას მიწაო. თუ გლეხს მიწა აკლია, ციმბირში გადავასახლოთ და იქ იმოდენა მიწა მივცეთ, რამოდენიც მას სურდესო.

მეორე—„კადეტების“ პარტია, რომელიც უმთავრესად ვექილებისგან, ექიმებისგან და პროფესორებისგან შესდგება, ასე აპირობდა მიწის საქმის მოგვარებას: ეკლესიებს, მონასტრებს და საუფლისწულო მმართველობას (ეს მამული ხელმწიფესა და იმის ნათესავებს ეკუთვნის) მიწები უნდა ჩამოერთვას და გადაეცეს ხაზინას, რომელიც ამ მიწებს გლეხებს დაურიგებს... თუ რომელიმე მემამულეს დიდი მამული აქვს და გლეხებს მისი ყიდვა უნდათ, მემამულეს ნება არ უნდა ჰქონდეს უარი უთხრას მას. ეს მამული იმ ფასად უნდა დაეთმოს გლეხებს, რა ფასადაც დააფასებენ შუამავლები.

მესამე პარტია—შრომის ჯგუფი თხოულობდა ყველა მამულების უფასოდ ჩამორთმევას. ეს მამულები უნდა დაურიგდეს იმათ, ვინც მიწაზე მუშაობს და მიწით ცხოვრობს.

სამივე პარტია ერთმანეთს შეება. ატყდა ერთი ყაყანი და ვაი ვაგლახი. ბოლოს გამარჯვება „კადეტებს“ დარჩათ, რადგან ისინი ყველაზე მეტნი იყვენ სათაბიროში. „კადეტები“ შესაფერ კანონის შედგენას შეუდგენ, მაგრამ მთავრობამ დროზე უხელთა და პირში ბურთი ჩასჩარა.

რათ მოიქცა ესე მთავრობა? რა იყო „კადეტების“ კანონში სახიფათო? ბევრი არაფერი, მაგრამ მთავრობას მაინც პატარა ხიფათი მოელოდა. საქმე. იმაშია, რომ მთავრობის ყოველ წევრს, მეფიდან დაწყებული გუბერნატორამდის, ბლომა მამულები აქვთ. „კადეტების“ კანონის ძალით ამ მემამულეებსა და მათს ურიცხვ ნათესავებს მამულები ჩამოერთმეოდათ „სამართლიან“ ფასად, იმათ კი ის უნდათ, რომ მიწაში ერთი ათად აიღონ. ეს კანონი მათთვის ხელსაყრელი არ იყო, ამიტომ ხრიკი მოსდეს სათათბიროს და დაკეტეს.

ორიოდე კვირის წინად მთავრობამ ნამდვილი პროვოკაცია ჩაიდინა. მან გამოუცხადა მთელ რუსეთის გლეხებს, რომ სათათბიროს თქვენ ვერაფერს გიშველითო, სათათბიროს რომ მიწა მოგიმატოთ, თქვენთვის უარესი იქნება, რადგან გადასახადი მოგემატებათ და შემოსავალი კი-არაო; ამიტომ ფრთხილად იყავით და სათათბიროს ნურაფერს დაუჯერებთ, ჩვენ კი დღემდისაც თქვენთვის ვზრუნავდით და დღეის იქითაც არ მოგაკლებთ ჩვენ ზრუნვასო. ასეთი სისულელე წამოროშა მთავრობამ და ასე აპირობდა ხალხის მოტყუებას, მაგრამ წინ გადაეღობა სათათბიროს და გამოაცხადა, რომ მთავრობამ კანონი დაარღვია და სახელმწიფო სათათბიროს საქმეში ჩაერია.

მთავრობამ მართლა დაარღვია კანონი, რადგან ისეა შეჩვეული კანონის დარღვევასა და თვითნებობას, რომ უამისოდ ერთი დღეც არ შეუძლიან ცხოვრება.

ეს სათათბირომ, რასაკვირველია, იწყინა და მთავრობას სამაგიეროს გადახდა მოუნდომა. მან განიზრახა თავის მხრით გამოეცა მოწოდება და აეხსნა, რომ მთავრობა სტყუის და ხალხის მოტყუებას აპირობს. მაგრამ დაიწყო თუ არვე სათათბირომ ამ მოწოდების წერა, ხელმწიფემ აღარ აცალა და გამოაცხადა: სათათბირო ხალხს აღელვებს, არაფერს აკეთებს და ამიტომ მას ვითხოვ და შვიდი თვის შემდეგ ახალ სათათბიროს მოვიწვევო.

ჯერ ერთი, რა უნდა ქნას ხალხმა შვიდი თვის განმავლობაში? მეორე: ვისი იმედით უნდა იყოს შვიდ თვეში და მესამე: უნდა მოუცადოს მეორე სათათბიროს, თუ სხვა გზას მიმართოს?

შვიდი თვის განმავლობაში მთავრობა კარგად მოასწრობს აუარებელ სოფლის დაწვას, დანგრევას, აუარებელ ხალხის დახვრეტას და ციხეში დალპობას, აუარებელ უკანონობის ჩადენას და ხაზინის გაქურდვას. ხალხი ამ შვიდ თვეში უნდა გამოიცადოს და მისი ბედიც ამ შვიდ თვეში გადაწყდება:

ან სირცხვილი და ულელში შებმა, ან სიკვდილი, ან გამარჯვება!

ან მუდმივი მომობა, ან მიწა და თავისუფლება!

ან ვაჟკაცური ბრძოლა და სახელის მოხვეჭა.

სხვა გზა არ არის: ვისაც რა გზა მოსწონს, ის გზა აირჩიოს.

ჩვენ დღემდის სულ იმას ველოდით, რომ ან ხელმწიფე მოგვცემს მიწას და თავისუფლებას, ან მინისტრები მოგვცემენ, ან სახელმწიფო სათათბირო. ველოდით და ვუყურებდით, მაგრამ ლოდინით თვალები დაგველია და ხახამშრალები დავრჩით: არც ხელმწიფემ მოგვცა რამე, არც მინისტრებმა და არც სათათბირომ. ის ხომ წინადაც ვიცოდით, რომ მთავრობა თუ წაგვართმევდა რასმეს, თორემ მოცემით არას მოგვცემდა; მაგრამ ამ სათათბიროს რაღას შევჩერებივართ? ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში და სხვაგანაც დიდი ხანია რუსეთის სათათბიროზე ბევრად უკეთესი პარლამენტები არსებობს, მაგრამ დღემდის მათ ხალხისთვის არც მიწა მიუციათ და არც თავისუფლება. რუსეთის სათათბირო რაღა წითელი კოჭი იყო, ოომ ხალხისთვის მიეცა რამე!

არა, ჩვენ სათათბიროსაგან არაფერს არ უნდა მოველოდეთ. თუ რამე გვინდა და თუ რამე შეგვიძლიან, ჩვენივე ხელით უნდა ვიშოვოთ მიწაც და თავისუფლებაც. სხვას ტყუილად ნუ შევჩერებივართ ხელში, თორემ, ხომ იცით, სხვის იმედით დარჩენილი ყოველთვის მოტყუებული რჩება.

მაშ ასე: სახელმწიფო სათათბირო დაითხოვეს. ჩვენ არასდროს არ გვქონია სათათბიროს იმედი, ამიტომ მისმა დათხოვნამ სულაც არ შეგვაწუხა. ჩვენ მხოლოდ ჩვენ ნაცად ერთობისა და ძმობის იმედი გვქონდა და დღესაც ამ ერთობის იმედით ვცხოვრობთ. ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ საბოლოო ბრძოლის დღე გვიახლოვდება და ამიტომ საბრძოლველად ვემზადებით; ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ ჰაერში სისხლის სუნი ტრიალებს, საიდგანღაც ჭახა-ჭუხი ისმის და აღმოსავლეთიც ცეცხლის ფერად შეიღება.

საცაა, მზე უნდა ამოვიდეს! დიაღ, უნდა ამოვიდეს და ჩვენც მზად ვართ გაწმენდილნი, გასპეტაკებულნი და საბრძოლველად მომზადებულნი ამაყად დავუხვდეთ სიკვდილს, რომელიც მოგვიტანს მიწას და თავისუფლებას!

საცაა, მზე უნდა ამოვიდეს!

ქართველი გლეხი.

ᲯᲐᲠᲘ

ამ ჟამად თითქმის ყველა სახელმწიფოები თავიდან ფეხებამდის იარაღში სხედან. დიდი სახელმწიფოები ყველაზე მეტ ფულს ჯარზე ხარჯავენ. რუსეთი, საფრანგეთი, ინგლისი და გერმანია წელიწადში ათას ექვსას მილიონ მანეთს ანდომებენ ჯარის შენახვას. ამოდენა ფული რომ თოფებისა და ზარბაზნების გაკეთების მაგივრად ხალხის სწავლაზე და განათლებაზე დაეხარჯათ, დღეს ასეთი სიბნელე, გაუნათლებლობა, სიღატაკე და უსამართლობა აღარ იქმნებოდა.

ხალხმა რომ ამოდენა ხარჯსა და ამოდენა ხალხის ტყუილ-უბრალოდ მოცდენას ველარ გაუძლო, ბოლოს ხმა ამოიღო და მოითხოვა მუდმივ ჯარის მოსპობა და მის მაგივრად მილიციის დაარსება.

ეგ კარგი საქმეა—იტყვის ზოგიერთი,—მაგრამ ერთი სახელმწიფო რომ მეორეს დაეცესო და აიკლოსო? ჯერ ერთი, ერთ ხალხს მეორესთან გასაყოფი არაფერი აქვს და ჩხუბსაც არ დაუწყებს. ერთმანეთს მხოლოდ მდიდრები და მეფეები ეჩხუბებიან. ისინი უცხადებენ ხალხს, ამა და ამა ხელმწიფეს ომი გამოუცხადეთ და ოომეთო. მეფე და მდიდრები შინ სხედან და ფუფუნებაში არიან, მშრომელი ხალხი კი თავის ცოლ-შვილს, ოჯახსა და სახლ-კარს ღვთის ანაბარად სტოვებს და ომში მიდის. იქ ის უბედური ან ბრძოლის ველზე კვდება, ან იკარგება სადმე, ან იჭრება, ან ტყვედ უვარდება მტერს ხელში და ამ რიგად წვალობს და იტანჯება. შინ კი ამ დროს ცოლშვილი და დედა იმის მოლოდინში თვალებს იბრმავებენ, დილიდან საღამომდის გზაზე უჭირავთ თვალი და ელიან: ან ეხლა მოვა ჩვენი მარჩენელი და ან ეხლაო. ელიან თავიანთ მაცოცხლებელს, მაგრამ ის აღარ ბრუნდება. არასდროს აღარ ბრუნდება! არის მთელ ქვეყანაზე ერ-

თი კვილი, წვილი, ტირილი და ვაი ვაგლახი. ერთს შვილი მოუკლეს, მეორეს—ძმა, მესამეს—მამა, მეოთხეს—ქმარი და მეხუთეს—მეგობარი და ძმა-ამხანაგი. რათა, რისთვის, რა დააშავა? ვის რა წაართვა, ან იმას ვინ რას ართმევდა, რომ ორ ერს ერთმანეთს მიუსევენ ხოლმე და აჟლეტინებენ? მეომრებს ერთმანეთისთვის არაფერი დაუშავებიათ; იმათ საჩხუბარი არაფერი აქვთ, მაგრამ სამაგიეროდ საჩხუბარი აქვთ ორივე ქვეყნის მუქთახორა მდიდრებს, რომელთაც შეძენილი მილიონები არ ჰყოფნით და ცდილობენ ერთმანეთს წაგლიჯონ რამე.

შარშანწინ იაპონიასა და რუსეთის ხელმწიფეებს ჩხუბი მოუვიდათ ჩინეთის მიწაზე. ეს მიწა არც იაპონისა იყო და არც რუსეთისა, მაგრამ ორივემ დაბალი ღობე იპოვეს და მისი მოტაცება მოინდომეს. ატყდა ჩხუბი. ორივე ხელმწიფემ გამოუცხადა თავთავიანთ ხალხს: არიქა, ჩვენს სამშობლოს ხიფათი მოელის და უშველეთო. რის სამშობლო! რის ხიფათი! მანჯურია არც რუსების სამშობლო იყო და არც იაპონელებისა. ის ქვეყანა ჩინელებს ეკუთვნოდა, მაგრამ რადგან ჩინეთი სუსტი სახელმწიფო იყო და ვერ მოახერხა სვავების მოგერება, ამიტომ განზე გადგა და დაუწყო ყურება. წაეკიდენ ერთმანეთს რუსეთი და იაპონია. ორი წელიწადი იომეს, რამდენიმე ათასი მილიონი ზღვაში გადაყარეს, ერთი მილიონი ხალხი დახოცეს და მერე შერიგდენ. იაპონიამ რუსეთს აჯობა, მანჯურია წაართვა და დიდი ზარალი მიაყენა.

მერე? ხალხმა რა მოიგო? ვის რა დარჩა? მთელ რუსეთში და იაპონიაში რამდენიმე მილიონი დედა ატირდა, რამდენიმე მილიონი ქალი დაქვრივდა, რამდენიმე მილიონი ბავშვი დაობლდა და რამდენიმე მილიონი წვრილშვილი დაიმშა. რათა? ვისთვის? რისთვის? რუსეთმა და იაპონიამ რამდენიმე ათასი მილიონი მანეთი დახარჯეს ომზე. მერე საიდან მიიღეს ეს ფული? ხალხისგან, მშრომელ ხალხისგან, მშრომელ ხალხის ნაოფლარისგან და ნაშრომისაგან. ვინ დაიხოცა, ვინ დაობლდა, ვინ ატირდა და ვინ დაიმშა ამ ომის დროს? უმეტესად ისევ მშრომელი ხალხი. მაგრამ რა მიიღო სამაგიეროთ ამ ხალხმა?

მიიღო აუარებელი ცრემლი, ტანჯვა, წვალება, სიმშილი და ვაი-ვაგლახი. მაგ[illegible] მოიგო ომით, ვისთვის იყო საჭირო ამ[illegible] ხალხის გაუბედურება? ვისთვის და, ისევ მდ[illegible] რებისთვის, გენერლებისთვის, მთავრობისთ[illegible] და მუქთახორა გველაძუებისთვის. იაპონი[illegible] ომში მშრომელმა ხალხმა გაიმარჯვა და [illegible] მარჯვების ნაყოფი კი იაპონელ მდიდრ[illegible] დარჩათ. რუსეთი დამარცხდა, მაგრამ ვაჭრ[illegible] სა და ქურდბაცაცა გენერლებს არაფერი წ[illegible] გიათ: ვაჭრები უფრო გამდიდრდნენ ომ[illegible] გენერლებმა კი ხალხის ფულით ჯიბეები [illegible] ტენეს, ჩინ-მენდლები მიიღეს, სამშობლო[illegible] დაბრუნდნენ და ეხლა თავიანთ ძმებსა [illegible] მეზობლებს ამშვიდებენ. საცა სიმამაცე [illegible] ვაჟკაცობა იყო საჭირო, იქიდან ქუდ გა[illegible] ლეჯილი მორბოდნენ და სირბილში ერთი [illegible] ორეს ეჯიბრებოდნენ; აქ კი უიარაღო, [illegible] თალ და დამშეულ ხალხზე ვაჟკაცობას იჩენ[illegible] და თავიანთივე ძმების დახოცვისთვის საჩ[illegible] რებს იღებენ.

ერთი მითხარით, სად არის აქ სამართალ[illegible] სად არის პატიოსნება და მამულიშვილობა?

სამართალი არ არის და ჩვენც ამას ე[illegible] ვით, ჩვენც ამიტომ ვყვირით და ვთხოულობ[illegible] სამართალს.

ეხლა ვიკითხოთ, მთავრობას რომ ამ[illegible] ნა ჯარი არ ჰყოლოდა, განა იაპონიას [illegible] გამოუცხადებდა? განა იმოდენა ხალხს დაა[illegible] ცინებდა და დაამშევდა? განა ხალხის სამა[illegible] ლიან მოთხოვნილებაზე უარის თქმას გ[illegible] დავდა? განა სოფლებსა და ქალაქებს [illegible] წვავდა, ააოხრებდა, აიკლებდა და ააწიო[illegible] და? განა ამოდენა ხალხს დახოცავდა და [illegible] ხეებში დაალპობდა?

ვერა, ვერ იზამდა ამ საქმეს, რადგან [illegible] ტო ერთი მუჭა მთავრობა როგორ მოახ[illegible] ხებდა თავის ხელით მთელ უზარმაზარ რუ[illegible] თის აკლებას! მთავრობა მხოლოდ ბრძანებ[illegible] იძლევა, ჯარი კი ამ ბრძანებას ასრულებს [illegible] ათას უსამართლობას სჩადის. ჯარს არ ეს[illegible] რომ ის ისევ თავის ძმებსა და დებს ხვრეტ[illegible] ისევ თავის სახლ-კარს ანგრევს და თავის თ[illegible] თვითონ უთხრის სამარეს. ჯარი გაუნათ[illegible] ბელია, უვიცია და მთავრობაც განგებ ს[illegible] ლობს ჯარი არ განათლდეს, თორემ ეგ[illegible]

ბული ადამიანი როგორ ჩაიდენს იმ სიმხეცეს, რომელიც ჯარმა ჩაიდინა! მთავრობა სარგებლობს ჯარის გაუნათლებლობით და ისე ატრიალებს ამ ქვეყანას, როგორც მას უნდა.

მაგრამ სანამ პავლე მოვიდა, პეტრეს ტყავი გააძრესო. სანამ ჯარი განათლდება, ხალხს თავისი დაემართება. ამიტომ მუდმივი ჯარი უნდა მოისპოს.

დიაღ, მუდმივი ჯარი უეჭველად უნდა მოისპოს, აუცილებლად უნდა მოისპოს, თორემ სანამ მუდმივი ჯარი არსებობს, მშრომელი ხალხი მუდმივ მონობაში იქმნება და თავს ვერ გაინთავისუფლებს. მუდმივ ჯარის მაგივრად უნდა დაარსდეს მილიცია. ყველა ახალგაზდა ისწავლის იარაღის ხმარებას რამდენიმე თვეში; მერე იარაღს მიიღებს და შინ დაბრუნდება. თუ მართლა მეორე სახელმწიფომ გაბედა და ამ ხალხის დაპყრობა მოინდომა, ყველა იარაღს აიღებს და თავის თავს დაიცავს. აი ეს არის მილიცია და მისი შემოღება ძალიან ადვილია. მაგრამ მილიციის შემოღება ძალიან ადვილია მაშინ, როცა ხალხი თვითონ იქნება თავის თავის ბატონი და პატრონი. ჯერჯერობით კი, სანამ ხალხი არ განთავისუფლებულა, ჩვენ უნდა მოვითხოვოთ სალდათისთვის სამსახურის ვადის შემოკლება; სალდათმა ოთხი და ხუთი წლის მაგივრად უნდა იმსახუროს ერთი ან ორი წელიწადი. ერთ წელწადში ყველა მშვენივრად ისწავლის იარაღის ხმარებას.

გარდა ამისა, ჩვენ უნდა მოვითხოვოთ; რომ ყველამ თავის სამშობლოში იმსახუროს. ეხლა ქართველები ჩრდილოეთ რუსეთში მიჰყავთ. იქ ისინი ცივ ჰავას ვერ იტანენ და ავად ხდებიან, იხოცებიან. ჩვენ ვითხოვთ, რომ ქართველი საქართველოში დარჩეს, სომეხი—სომხეთში, თათარი—სათათრეთში და რუსი—რუსეთში.

ჩვენ ვთხოულობთ, რომ მოისპოს სალდათების უზომო ტანჯვა, შეურაცყოფა, მისი პიროვნების შელახვა და დამცირება. ამას ვთხოულობთ ეხლავე, დღესვე; ხოლო საზოგადოდ ჩვენ ვთხოულობთ მუდმივ ჯარის მოსპობას და სახალხო მილიციის შემოღებას.

ᲛᲐᲓᲚᲘ.

ᲨᲘᲝ ᲩᲘᲢᲐᲫᲘᲡ ᲛᲝᲙᲕᲚᲐ

4 მკათათვეს, საღამოს 8 საათზე ტფილისში კაზაკებმა მხეცურად მოჰკლეს სათავადაზნაურო გიმნაზიის ინსპექტორი შიო ჩიტაძე.

იმ საღამოს ვიღამაც ყუმბარა ესროლა და მძიმედ დასჭრა ტფილისის პოლიცმეისტერი მარტინოვი, რომელიც ქართულ გიმნაზიის გვერდით მიდიოდა. კაზაკებმა მაშინვე ალყა შემოარტყეს გიმნაზიას და თოფები დაუშინეს. ამ დროს გიმნაზიაში რამდენიმე მასწავლებელს კრება ჰქონდათ. კაზაკები გიმნაზიაში შევარდენ და მოჰკლეს გიმნაზიის გამგე შიო ჩიტაძე, დასჭრეს მასწავლებლები იუსტინე აბულაძე და ხარლამპი ღლონტი, ხოლო დანარჩენები დაატუსაღეს.

შიო ჩიტაძე ქართლელი გლეხი იყო. მისი დედმამა ხელმოკლე ადამიანები იყვენ, მაგრამ მაინც მოახერხეს და შიოს სწავლა მიაღებინეს. განსვენებული კარგა ხანს რუსეთში იყო მასწავლებლად, ხოლო შარშანწინ ტფილიში გადმოვიდა და ქართულ გიმნაზიის ინსპექტორობა მიიღო.

განსვენებული ერთი საუკეთესო მოღვაწე და მუშაკი იყო. ისეთი სასარგებლო საქმე არ მოიძებნებოდა, რომ შიოს მხურვალე მონაწილეობა არ მიეღო. რევოლუციონურ მოძრაობაში და ხალხის განთავისუფლების საქმეში მას უკანასკნელი ადგილი არ ეჭირა და სულითა და გულით მიიწევდა თავისუფლებისა და სიმართლისაკენ.

შიო აგრეთვე მონაწილეობას იღებდა ქართულ და რუსულ მწერლობაში და მუდმივი თანამშრომელი იყო „შრომისა“, „ცნობის ფურცლისა“ და „ვოზროჟდენიისა“.

მისმა სიკვდილმა ქართველი საზოგადოება მწარედ დააღონა და აღაშფოთა იმ საზიზღარ მხეცების წინააღმდეგ, რომელთაც ასე უწყალოდ და უდროოდ გამოასალმეს წუთი სოფელს ძვირფასი ამხანაგი და მებრძოლი.

დასაფლავებას აუარებელი ხალხი დაესწრო. გორელებმა, თელაველებმა და ქართლელმა გლეხობამ თავიანთი წარმომადგენლები გამოგზავნეს. მის კუბოს ამშვენებდა ორმოცდა ათამდე გვირგვინი. სასაფლაოზე მრავალი

სიტყვა წარმოითქვა. ყველანი მოუწოდებდენ ხალხს, შეეერთდეთ, ხელი ხელს მივცეთ და სამაგიერო გადაუხადოთ შიოს მკვლელებსაო.

ზიზღი და შურის ძიება მკვლელებს და საუკუნო ხსოვნა რეაქციის მსხვერპლს, ძვირფასს შიო ჩიტაძეს!

ამხანაგი.

სოფლის ბოგოლები.

მაძასხლისი და სხვა უფრო დიდი მოხელეც, რომ სოფლის მტერ-მოყვარეა, ეს ყველამ კარგად ვიცით. მაგრამ ერთი ვკითხოთ: მაძასხლისი სოფელში ვის უფრო ემსრობა, ვის უფრო აწუსებს?

მაძასხლისი, რასაკვირველია, ეოველთვის ოითქმის მდიდრების მსარეზეა, იმათ სიამოვნებას სცდილობს, იმიტომ, რომ თითონაც იმ მდიდრების წრეს ეკუთვნის. იმათ ამსანაგი და მეგობარია. იქნებ იკითხოთ, რათა სდება ისე, რომ მდიდარს ირჩევენ მაძასხლისად მომეტებულ ნაწილად? აი რად:

ყველა სოფელში სქმე ასეა მოწყობილი: სოფელს ბატონობს და ებატრონება რამდენიმე გლეხი, მაგრამ უბრალო გლესი კი არა, არამედ შეძლებული, ჯიბე გასუქებული, დედულ-მამული ბატრონი, მეეირალა, ფულის სარგებლით მიმცემი. ეს შეძლებული გლეხები, ანუ, როგორც ჩვენში ეძახიან—„ბატიოსანი სალხი“—განაგების მთელ სოფლის ბედ-იღბალს; სიითაც უნდათ, სოფელს იქით უზამენ თავს. თითონ ძალიან ცოტას მუშობენ, სამაგიეროთ სულ სხვისი სელით აკეთებენ სქმეს. ისინი სულ იმას სცდილობენ, რომ თავის მუშებს ღმერთი გაუცალონ, რაც ძარღვებში სისხლი უდგათ სულ თავიანთ სქმეში ჩაადგრეგინონ. თუ ასე დაჩაგრული მუშა სმის ამოდებას გაბედავს, ადამიანურად მობერობას მოსთხოვს ბატონ „ბატიოსან კაცს“, მაშინ ეს ვაჟბატონი იმას დუმტიცებს, თუ რა ძალა უწერავს სელში. სამუშაო ფასს ადარ მისცემს, ან სხვა რაიმე სრიკს მოუდებს და დასჩაგრავს. წავიდეს და უჩივლოს? მაგრამ სად წავიდეს? ვისთან იჩივლოს? ვერსადაც ვერ მიდის და ბოლოს ძალა-უნებურად ცსრება. მან კარგად იცის სოფლის ბობოლების მოწყალე გულის ამბავი და ამიტომაც მეტის მეტად ბევრს იტანს ამ „ბატიოსნებისაგან“: შეურცხოფასაც ბევრს ითმენენ, შეწუსებასაც, შიმშილსაც და სხვა გასაჭირსაც. რა ქნას საბრალო დარიბმა გლეხმა, შეურცხეოფა არ მოითმინოს! ხვალვე გაუჭირდება, ან ფული დასჭირდება სასესხებლად, ან ბოროიოდე კოდი და სხვასთან ვისთან მიავა, თუ ამავე „ბატიოსან კაცთან“? ჯერ უწყენი რა არის, რა სარგებელს ართმევს ხოლმე, (თუმანათი შაური, სამი აბაზი, ბური — ათი თისუმტად) და ნაწყენი რომ იყოს, ხომ ან სულ ბოდურის ტემით გამოისტუმრებს, ან კიდევ სარგებელსა და თავნს გაუთანასწორებს.

ამიტომაც გაჭირვებული გლეხი ბევრს დაცირებას ითმენს ექვ ჯიბიან მოძმისაგან. ამ გარდა, თუ ბიჭია და სოფლის სქმეში იმის წინააღმდეგ ან იტყვის, ან გააკეთებს რასმე! რა გორ გაჭბედავს! გაჭბედავს და ვაი იმის დედ-მერთსა! ტაბიდან დაძინებას ვეღარ ეღირსებიან. მიადგებ ფესზედ მუგუზალს და სულ ასე აწამებს. გაუბავს სიჩავარს და ისეც დატემულს ოჯახს, ეთიანად დაუნიავებს, სულ ნელ-ნელა გაწყალებს.

აბა, რა ქნას, სად წავიდეს, როგორ დაუდგრეს კალანჭებიდან ამნაირს ათთარს და სასლიმსმელს წურბელას?

სარჯის გაწერაშიაც ეგრეეეა. „ბატიოსანი“ სალხი თვითონ მუდამ ნაკლებს შეიწერს ხოლმე. დარიბებს კი მეტს შეაწერს. მაძასხლისი დარიბებს უეჭველად გადასხდევინებს შეწერილ სარჯს. შეძლებულებს კი ზოგს უშველავოთ, ზოგს სშირად არც კი მოჭკითხავს ხოლმე წლ ბოლოს შეუტანელს ფულს: დაწერენ სოფელ „ნედოიმკად“. წამოველენ იგივე „ბატიოსანი სალხი“ და ხელ ასდა დარიბებს გაუნაწილებენ გადასახდელად. ასე სტანჯავენ და ნაშრომ-ნაოვაწ უნიავებენ საბრალო ხალხს—სოფლის დარიბს ნაწილს, ეს „ბატიოსანი“ ბობოლები.

მინდვრის გათიბვა გინდა, კარგსა და რიგ ან ბალახს ბობოლები გასთიბავენ; ვენახის მოწ ეეის დროს თუ ეველაზედ ადრე იმათ არ ერგ ჯერი, მთელი სოფელი ერთმანეთს ესლება ამ თი ეეირალისა და დრიალისაგან.

სოფლის ერალობაზედ სქმე ისე უნდა გ დაწედეს, როგორც ბობოლებსა ჭნებავთ. დანარ ჩენებმა რომ ბევრიც იეეირონ, თავი გაიხეოქონ ვერას გააწყობენ. სშირად მინახავს, რომ ერ შეეირალა ბობოლას უგულმარა სიტყვას გაუმარჯ ნაა, თუმცა სალხი წინააღმდეგი ეოფილა, რათ რაგორ სდება ეს ამბავი?

ისე ხდება, რომ ბატონი მამასახლისი იმ ბობოლას მომხრეა. ბობოლას ინტერესი და მამასახლისსა ერთმანეთს ეთანხმებიან, ამიტომაც ერთმანეთს მსარს უჭერენ.

ესლა, მე მგონია, თქვენ დაინახეთ, თუ რა სადხაა სოფლის ბობოლები, ან ვის კისერზედ სხედან და ვისი ოფლითაც იკვებებიან.

აი, ამ ბობოლებს უნდა ფრთები შეეჭრას, ისინი უნდა სამართლიანობის გზას დაადგენ. თუ არა და დაჩაგრულებს, მათგან შეწუხებულებს ერთად ერთი გზა და დარჩენათ: უნდა შეერთდენ, ხელი ხელს მისცენ, ერთი პირი შეკრან და კრიჭაში ჩაუდგენ სოფლის ბობოლებს. ღარიბი და დაჩაგრული გლეხი გაცალებით უფრო მეტია სოფლად, ვიდრე ბობოლა. მაშასადამე, დაჩაგრულები რომ შეერთდენ, შეკავშირდენ და ერთი პირი დაიჭირონ ერთობასზედ, სოფელში, მაზრაში თუ ს

სხვებს გადასცეს იჯარით. მოიჯარადრენი დიდ მონაწილეობას იღებენ იმაში, რომ სოფლებში უსათუოთ ჩააყენონ ეკზეკუცია და კაზაკების დახმარებით ერთი მეოთხედით გაივსონ ისედაც ხალხის ოფლით გასუქებული ღიპი.

— მე კი ჩემი მეოთხედი ავიღო ᲩᲣᲜᲓ ქვა-ქვაზედაც ნუ დარჩებაო, — ამბობენ დღევანდელი მემამულეები და მოიჯარადრეები.

თომა მაღაროელი.

დ. ლაგოდეხი. 18 ივნისს ლაგოდეხში იყო ტფ. გუბერნატორი. ლაგოდეხის მისავალთან, სადაც ახლა მოშენდა სოფელი „შრომა“, მას დაჰხვდენ შრომელები თავიანთ ᲪᲝᲚᲨᲕᲘᲚᲘᲗ და წარუდგინეს ქაღალდი, რომლითაც აუწყეს შემდეგი: ჩვენ აქ ლაგოდეხში ვცხოვრობთ ორმოცდაათ წლამდის. ჩვენ პირველათ დავიწყეთ თამბაქოს მოყვანა, რომელიც ხაზინას დიდ შემოსავალს აძლევს. მაგრამ, საუბედუროდ, ჩვენ დღემდის ერთი დესეტინა მიწაც კი არ მოგვეპოვება და იძულებულნი ვართ დიდ ფასად ვიქირაოთ მიწები და ისე ვიმუშაოთ. ამისათვის, ჩვენი სამაგალითო მხნეობა-გარჯილობის მიუხედავად, სიღატაკეს ვერ დავახწივეთ თავი. ამ ოცდა ათის წლის წინად ლაგოდეხელმა მუშა ხალხმა ვითხოვეთ მიწები: რუსებმაც, ქართველებმაც და სომხებმაც, მაგრამ რუსებს, ეხლანდელ ლაგოდეხის „პოსელენცებს“, მისცეს მიწები, ჩვენ-კი, „ტუზემცებს“, არ მოგვცეს. ამ უკანმსკნელ ხუთ წელს ბევრჯერ მივმართეთ მთავრობას მიწებისთვის, მაგრამ მხოლოდ გვპირდებოდენ და ჩვენს გაჭირვებას კი ბოლო არ ეღებოდა. ამ უკანასკნელს ორ წელს რამდენიმე პარტია გადმოსახლებულ რუსებისა კიდევ მოიყვანეს და დაასახლეს. შარშან ორი კაცი გავგზავნეთ ნამესტნიკთან, რომელიც დაგვპირდა, ყველაფრით დაგაკმაყოფილებთო. აგრეთვე დაგვპირდა სახელმწიფო ქონებათა მმართველი ზელენინი. ამ ამბით გახარებულნი შევუდექით სოფლის მოშენებას იმ ადგილზე, რომელიც 1902 წლიდან გვქონდა დაპირებული. გავჩეხეთ უვარგისი შეშის ტყე, ავავსეთ ხევები, გაგიყვანეთ გზები და ეხლა ჯერ-ჯერობით ოთხმოც კომლამდის (ას-ოც კომლიდან) დავსახლდით. მაგრამ ჯერ ეს ალაგი არ დაუმტკიცებიათ ოფიციალურად ჩვენზე. გარდა ამისა, ჯერ სახნავი მიწა არა მოუციათ რა. ამნაირად, იმ დროს, როდესაც ჩვენს მეზობელ გადმოსახლებულ რუსებს კომლზე ოცდა ერთ დესეტინა აქვთ, ხოლო ახალ მოსულ რუსებს თვითო მამაკაცზე ხუთი დესეტინა, ჩვენ აქ გვაბადია რა და იძულებულნი ვართ მათგან ვიქირაოთ დესეტინა ორ-სამ თუმნად, ვიქირაოთ ის მიწები, რომელიც ჩვენივე გატეხილია და უღერ ტყეებისაგან სახნავად ნაქცევი. ქართველებმა ისიც დაუმატეს, რომ ჩვენ აქ გვშურს რუსებისათვის მიწა, მაგრამ უსამართლობაა, როცა იმათ აძლევთ და ჩვენ კი აქ გვტოვებთო. გუბერნატორი დაჰპირდა დახმარებას, მაგრამ აასრულებს თუ არა დანაპირალაჰმა უწყის. („შრ“.)

შიო ჩიტაძის გარდაცვალების გამო

მეტეხის ციხიდან ტუსაღები იწერებიან: „ჩვენ, მეტეხის ციხის ტუსაღები, გულით და სულით აღშფოთებულნი ვართ იმ საზიზღარ მტარვალობით, რომლის მსხვერპლი გახდა ყოვლად უდანაშაულო და პაციოსანი საზოგადოებრივი მუშაკი და პედაგოგი შიო ჩიტაძე. გულითად მწუხარებას ვაცხადებთ და უკანასკნელ სალამს უძღვნით ჩვენი ბნელი, ნესტიანი და აშმორებული საკნებიდან თვითნებობისა და ავაზაკობის მსხვერპლს შიო ჩიტაძეს. გულითად თანაგრძნობას უცხადებთ განსვენებულის ცოლშვილს და დაობლებულ მეგობრებს ამხანაგებს და მოუწოდებთ მათ: ფიცი ღონ განსვენებულის საფლავზე, რომ გაოცებული ენერგიით, უფრო მედგრათ იბრძოლონ გამეფებულ თვითნებობისა, ძალმომრეობისა და ავაზაკობის დასამხობათ ღა ბრწყინვალე მომავლის გასამარჯვებლათ, რისთვისაც ასე მხნეთ და დაუღალავათ იბრძოდა განსვენებული შიო. მათ კი, ვისაც ავაზაკობის მსხვერპლიც შეექმნა განსვენებული შიო, უცხადებთ ჩვენს ზიზღსა და აღშფოთებას. ამასთანავე ღრმად ვწუხვართ, რომ იმავ თვითნებობისა და ავაზაკობის მიზეზით ჩვენ, უდანაშაულოთ დამწყვდეულთ მეტეხის ციხეში, არ შეგვიძლია დავესწროთ შიოს ცხედარის გამოსვენებას და დაკრძალვას და მით უკანასკნელ პატივი ვცეთ ჩვენთვის ძვირფასს და დაუვიწყარ შიოს.

ამხანაგების მონდობილებით: თეოფანე ჭყონია, კოლა ნემსაძე და აქვსენტი კორიფაძე.

სახ. სათათბიროში გაგზავნილი დეპეშები

თავმჯდომარეს მურომცევს, დეპუტატებს ბარათაშვილს და ჟორდანიას.

ჩვენ ტფილისელი ქალები, ეროვნების განურჩევლად, მწარე ცრემლს ვაფრქვევთ მხეცურად მოკლულ საუკეთესო ადამიანის და საზოგადო მოღვაწის შიო ჩიტაძის ვგამზე და ვაცხადებთ ჩვენ ღრმა ზიზღს უდანაშაულო ადამიანის მოკვლისა და გიმნაზიის მასწავლებელთა დაჭრის გამო, იმ მასწავლებელთა, რომელნიც შეიკრიბენ მშვიდობიან საქმისთვის — თავიანთ საჭიროებათა განსახილველად. მოვითხოვთ დაუყოვნებლად სასტიკ გამოძიებას, მკვლელთა და ამწიოკებელთა აღმოჩენას და სამართალში მიცემას. ჩვენ უფლება გვაქვს მოვთხოვოთ სახელმწიფო სათათბიროს ჩვენის შვილების, ძმების, მამების და დედების დაცვა ისეთ ბოროტმოქმედებისაგან, რომელსაც სჩადიან შურის მძიებელ და გაბოროტებულ მთავრობის აგენტები, იმ მთავრობისა, რომელიც მზად არის თავისუფლების დასახშობად მთელი ქვეყანა სისხლით მორწყოს.

ᲮᲔᲚᲘᲡ ᲐᲬᲔᲠᲡ 563 ᲥᲐᲚᲘ

დეპუტატს ბარათაშვილს და გაზ. „მიხლ“-ის რედაქციას.

მოვალეობად ვრაცხთ შეგატყობინოთ უდანაშაულო პირთა ავაზაკური მოკვლა და დაჭრა. 4 ივლისს ვიღაცეები მორგებულის გასაღებით შევიდენ სათავად-აზნაურო გიმნიზიის ერთ ცარიელ დარბაზში და იქიდან ყუმბარა ესროლეს ქუჩაზე მიმავალ პოლიცმეისტერს. იმავ წუთს გიმნაზიას გარს შემოერტყენ ყაზახები, სტრაჟნიკები და პოლიცია; ჯერ ფანჯრებსა და კედლებს დაუშინეს თოფები და მერე შენობაში შეცვივდენ. იქ ამ დროს იწყებოდა მასწავლებელთა თათბირი. ყაზახებმა და სტრაჟნიკებმა თოფით მოჰკლეს გიმნაზიის დირექტორი ჩიტაძე მის ბინაზე და შემდეგ მძიმედ დასჭრეს ხ. ღლონტი, იუსტინე აბულაძე და ჩიტაძის ნათესავი მესხიშვილი. მძიმედ დაჭრილი ღლონტი ამასთანავე ძლიერ ნაცემია, დანარჩენი მასწავლებლები რაღაც სასწაულით გადარჩენ. გიმნაზიის მთელი შენობა, ოთახები და მოწყობილობა საშინლად აკლებულია. სტოლები, სკამები, შკაფები დამტვრეული, წიგნები დახეული, სხვა და სხვა კოლლექციები განადგურებული. აკლებულია აგრეთვე ფიზიკური კაბინეტი, სადაც თითქმის ყველა ინსტრუმენტი და იარაღი დამტვრეულია. მოკლულ დირექტორისა, ეკონომისა და სხვა საცხოვრებელ ბინებიდან ყველაფერი წაღებულია ან აოხრებული. მოკლულ ჩიტაძისთვის წაურთმევიათ ოქროს საათი, ბეჭედი და ფული. აწიოკების სურათი აუწერელია. ბარბაროსულად მოკლულ ჩიტაძესა და მის დაჭრილ ამხანაგთ საერთო არაფერი აქვთ ყუმბარის გადასროლასთან; ამის ჩამდენნი მიიმალენ, მიუხედავად ამისა დაჭრილი ღლონტი ახლაც დაპატიმრებულია კომენდატის სამმართველოში, სხვა დაჭრილები სამხედრო საავადმყოფოში არიან და მათთან არავის უშვებენ. პოლიციას განზრახვა აქვს დაზარალებულთ მოახვიოს თავზე ყოველივე. მთელი საზოგადოება აღელვებულია, თხოულობს მიუდგომელს გამოძიებასა და დამნაშავეთა პასუხის გებაში მიცემას. გააცანით სათათბიროს ეს აღმაშფოთებელი ავაზაკობა. დედა, ცოლი და შვილები გაგიჟებული არიან უზომო სიმწარისაგან. ჩვენც მისი ამხანაგები, ღრმად ვწუხვართ ქართველ საზოგადოების სასარგებლო წევრის და ჩვენის გაზეთის ნიჭიერ თანამშრომლის დაკარგვას.

«ᲨᲠᲝᲛᲘᲡ» ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ.

დეპეშა გაუგზავნა მურომცევს და ბარათაშვილს აგრეთვე ქართულ გიმნაზიის გამგე კომიტეტმა.

გენ. ალიხანოვის ანდერძი

გენ. ალიხანოვმა ჩვენში დიდი „სახელი“ გაითქვა. იშვიათათ თუ იმას ყოველ დღე არ ახსენებდენ არა თუ ჩვენში, არამედ თვალუწვდენელ რუსეთის სხვა-და-სხვა კუთხეებშიაც კი. იმის „სახელი“ ჯერ კიდევ დიდხანს დარჩება. მან ააოხრა და გაანადგურა მთელი გუბერნია, მან აიკლო და ცეცხლსა და მახვილს მისცა მილიონ ხალხის სარჩო-საბადებელი და სიცოცხლე, მთელ გუბერნიაში მას ერთი ციდა ადგილიც არ დარჩენია, სადაც არ აეტირებიოს და არ შეეძრწუნებიოს საბრალო მცხოვრებლები. მაგრამ მე ვცდები: მას დარჩა ერთი ასეთი ადგილი. ეს არის სვანეთი. ალიხანოვი ზამთარში „მოღვაწეობდა“ და ამ დროს სვანეთში გადასვლა და ჯარების გადაყვანა შეუძლებელი იყო, მაგრამ იმას არ და-

უვიწყია სვანეთი. თუმც მას აღარ დააცალეს ქუთაისის გუბერნიაში ყოფნა, მაგრამ სამაგიეროთ თავის მემკვიდრეს დაუტოვა თავისი ანდერძი: სვანეთსაც ის დღე დააყენე, რაც გუბერნიის სხვა კუთხეებს მე დავმართეო. და აი დღეს, როცა სვანეთში სრული სიწყნარეა და ხალხი დამშვიდებულია, გენ. იაზიკოვს იქ დიდ-ძალი ჯარი გაუგზავნია კაზაკებით და სამთო ზარბაზნებით. რა უნდა ჰქონდეს მიზნათ ასეთ ჯალაშქრებას? ვინც მთავრობის პოლიტიკას იცნობს, იმისთვის ეს ადვილი გამოსაცნობია: იაზიკოვი სვანეთს აკლებას და აოხრებას უპირობს. („ახ. ცხ.“).

ქუთაისის ციხე. ქუთაისის ციხეში ტუსაღებს შიმშილობა გამოუცხადებიათ. მიზეზი ის ყოფილა, რომ ტუსაღი ბენია ჩხიკვიშვილი 4 ივლისს ციხიდან სამხედრო ჰაუპტვახტში გადაუყვანიათ, რადგან ციხეში ტუსაღების შორის პროპაგანდის გაწევა დაუბრალებიათ. ტუსაღებს მოუთხოვიათ ჩხიკვიშვილის უკან დაბრუნება.

მკვლელობა. 4 ივლისს ჭიათურის რკინის გზის შტოზე, სალიეთის სადგურზე, ვიღაც უცნობს რევოლვერის ხუთი ტყვიით მოუკლავს შორაპნის დეპოს მემანქანე ტერ-არუთინოვი, რომელიც საქონლის მატარებლით ჭიათურისკენ მიდიოდა თურმე. უცნობი მიმალულა. ტერ-არუთინოვის გვამი შორაპანში გამოუგზავნიათ, მაგრამ მას არც ერთი მოსამსახურე არ დახვედრია. ტერ-არუთინოვი წინათ „რევოლიუციონერი“ ყოფილა, ხოლო ამ უკანასკნელ დროში ძალიან გამოცვლილა.

გადასახადები

თფილისის გუბერნიის სხვა და სხვა მაზრებიდგან მრავალი შუამდგომლობა მოსდის თურმე კავკასიის უმაღლეს მთავრობას სახელმწიფო, საერობო და სხვა საზოგადო გარდასახადების საქმეების მოწესრიგების შესახებ. გლეხები სთხოვენ მთავრობას, ან სრულიად ეპატიოთ მათზე დარჩენილი ძველი „ნედოიმკები“, ან კიდევ სხვა უფრო ხელსაყრელ დროისთვის გადასდოს მათი გადახდა. გლეხები იმასაც კი აცხადებენ, რომ უკანასკნელ სამი წლის განმავლობაში ქონებრივად ძალზე დასუსტებული ვართ და ამისთანა არეულ დროში არავითარი სახსარი არ გვაქვს ძველი გადასახადები შემოვიტანოთო. ამ ჟამად მთავრობა ადგენს სიებს იმ სოფლებისას, რომლებიც ძალიან დაზარალებულან და უნდა თურმე მათ ცოტა შეღავათი მისცეს გადასახადების დაკლებაში.

გლეხები სახაზინო მიწებს თხოულობენ

ბორჩალოს მაზრის სოფლებს: ვარტაბლურის, ლიჩკადზორის, კამიშლოს, ბაშკოის და ოზის გლეხებს შუამდგომლობა აღუძრავთ მთავრობის წინაშე, რომ სახელმწიფო სახნავ-სათესი და საბალახო ადგილები მიეცეთ იჯარით. მაგრამ მთავრობას უარი უთქვამს მათთვის მიწების მიცემაზე.

გლეხები სესხს თხოულობენ

თელავის მაზრის, სოფელ შაშიანის გლეხები ძალზე დაზარალებულან სეტყვით. მათი საუკეთესო ბაღები და ნათესები სეტყვას ერთიანად გაუნადგურებია. ეხლა ხან მათ შუამდგომლობა აღუძრავთ უმაღლეს მთავრობის წინაშე, რომ სესხათ მიეცეთ ხაზინიდგან ოთხი ათასი მანეთი რამდენიმე წლის ვადით.

მოხისელების თხოვნა

ამას წინად გორის მაზრის, სოფელ მოხისის გლეხებს შუამდგომლობა აღუძრავთ მთავრობის წინაშე, რომ სოფლების მოხელეების და სასოფლო კანცელარიების შესანახი ხარჯების მოკრება სხვა დროისთვის გადაიდოს, რადგან სახელმწიფო და საერობო გადასახადების გადახდაც ძალზე გვიჭირსო.

ახალი „რეფორმა“

ამ ერთი წლის წინად გუბერნატორის განკარგულებით დუშეთის მაზრის სოფლები დაყოფილ იქმნა წვრილ საზოგადოებათ და ახალი სამამასახლისო დაარსდა თითქმის თვითეულ სოფელში, ან კიდევ ორი-სამი პატარა სოფელი ცალკე საზოგადოებად გამოჰყვეს. ეხლა იქაურ უფროსს მავნებლად უცვნია გლეხებისთვის ახალ სამამასახლისოებების დაწესება და შუამდგომლობა აღუძრავს უმაღლეს მთავრობის წინაშე, რომ ისევ ძველი წესი იქნეს შემოღებული და უწინდებურად რამდენიმე სოფლიდგან ერთი სამამასახლისო შესდგესო. ასეთ შუამდგომლობას ეხლანდელი უფროსი იმით ასაბუთებს, რომ

გლეხებს აღარ შეუძლიათ ამდენი სასოფლო კანცელარიების და სოფლების მოხელეების შენახვაო. უმაღლეს მთავრობას თურმე განზრახვა აქვს ისევ ძველი წესები შემოიღოს დუშეთის მაზრის სოფლებში.

რუსეთი

გლეხების მოძრაობა.

ნოვგოროდის გუბერნიაში, ჩერეპოვეცის მაზრაში აგრარული მოძრაობა დაიწყო. 21 ივნისს შეკრებილან გლეხები და მემამულეების სათიბები დაუსაკრთრებიათ და დაუყვიათ. მათ ურიადნიკისა და სტრაჟნიკების გაფრთხილებისთვის ყურადღება არ მიუქცევიათ და 80 დესეტინა მოუთიბავთ. როცა ვერაფერს გახდა ურიადნიკი, ძალას მიმართა. უიარაღო გლეხებს დაერივენ სტრაჟნიკები და ჩეხა დაუწყეს.

სარატოვის გუბერნიაში გაფიცვები თან დათან ვრცელდება. სოფლის საზოგადოებები განაჩენს ადგენენ, რომლითაც გლეხებს ნებას არ აძლევენ მემამულეებთან იმუშაონ.

ნიკოლაევის მაზრაში გლეხები უარს ამბობენ გადასახადის გადახდაზე. 21 ივნისს ურჩ სოფელში მოსულა ბლალოჩინი, შეუკრებია გლეხები და უთქვამს: ნუ ჯიუტობთ, თორემ უარესი დღე დაგადგებათ, ყაზახებს მოგისევენ და აგიკლებენო. — „შენ ის გვითხარი, მღვდელ, როგორ გავაჩინოთ ფული; ისედაც შიმშილით ვიხოცებით და გადასახადი საიდან გადვიხადოთ“, უთქვამთ გლეხებს და ხუცესი ხელცარელი დაბრუნებულა სახლში.

ალაგ-ალაგ აგრარული მოძრაობა ნელ-ნელა სცხრება. მაგალითად, ბალტიის მხარეში ეხლა გაცხარებული მუშაობაა და გლეხობა მშვიდდება. ბალტიის გენერალ-გუბერნატორი იუწყება, რომ ეს სიჩუმე მხოლოდ დროებითია, რადგან გლეხობისთვის საჭიროა მუშაობის დასრულება. მერე კი, ეჰვი არ არის, მოძრაობა ხელ-ახლად დაიწყებაო. გენერალ-გუბერნატორის სიტყვით, ლატიშები უკანასკნელ წლების რევოლიუციონურ მოძრაობაში ძლიერ ვამოიცადნენო.

რუსეთშიაც დამსჯელ რაზმების გავლენით ზოგგან დროებით მიჩუმდებიან ხოლმე გლეხები, მაგრამ მერე ისევ ხელ-ახლად იწყობენ მოძრაობას. მემამულეებს იქამდე გაუჭირდათ საქმე, რომ მამულებს უპატრონოდ სტოვებენ და გარბიან.

ყაზანის გუბერნიაშა გლეხებს საბატონო ტყეების გაჩეხისა და საბალახოების გათიბვის გარდა საუფლისწულო მამულებისათვისაც მიუყვიათ ხელი.

სიმფეროპოლში მემამულენი ძალზე შეშინებულნი არიან იმით, რომ გლეხებს მიაქვთ მთელი მოსავალი და მხოლოდ მეათედს აძლევენ მემამულეებს.

ვილნოს გუბერნიაშა ნარიშკინის მამულში მოურავი მოუკლავთ. უფროსი მოურავი დარაჯებით დადის.

სუჯის მაზრაში გლეხებისათვის ძლიერ უცემნიათ დრაგუნებს.

გლეხებმა მიტინგები გაახშირეს. თითქმის ყველგან იმართება ეხლა მიტინგები.

ბობროვის მაზრაში დიდი მოძრაობაა. გლეხებმა გადასწვეს დიდი მამული და სამეურნეო იარაღი. ქონება გაიტაცეს.

ორიოლის გუბერნიაში მემამულის კანტორა აიკლეს და დახიეს წიგნები.

ჩერკასის მახლობლად, ს. კამენკაში გლეხებს შეტაკება მოუხდათ ჯართან. დაჭრილია 5 სალდათი და 16 გლეხი.

ყველაზე ძლიერი და შეგნებული მოძრაობა ხომ სარატოვის გუბერნიაშია, მაგრამ სარატოვის გუბერნიას არც რიაზანისა ჩამორჩა. იქ გლეხებმა მუშაობას ხელი არ მიჰყვეს, ვიდრე ახალ პირობით არ შეეკვრნენ მემამულეებს. მაგრამ, ეტყობა, ამანაც ვერ მოარიგა გლეხები და მემამულენი. შემდეგ მოძრაობა გაფიცვებით გამოიხატა. გლეხები ყრილობებზედ იკრიბებოდენ, ადგენდენ მოთხოვნებს და მემამულეებთან მიდიოდენ. მუშების მოხსნა იშვიათად უხდებოდათ, იქ არიან განუწყვეტლივ პოლიციის მოხელენი და ეძებენ მოთაველებს, მაგრამ ესენიც ვერას გახდენ და მათ დასახმარებლად გამოჰგზავნეს ყაზახები, ბოქაულები და მერე თვით გუბერნატორიც მივიდა. ბევრია დაპატიმრებული. სადაც ჯარი აჯანყდა, მთავრობამ, რასაკვირველია, თათისებური ზომები იხმარა და მოძრაობაც მიყუჩდა. ეხლა მთავრობას უნდა ამ მიყუჩებით ი'არგე-

ბლოს და გარეგოლიუციონერებული ჯარი ხელახლა „გააპატრიოტოს“. ამისათვის პროპაგანდას შეუდგენ და „რუს ხალხთა კავშირის“ ქაღალდებს არიგებენ.

მოძრაობა ჯარში

— 30 ივნისს ლიუბეცკი პოლკის 39 საპიორი დაატყვევეს. საპიორებმა მოითხოვეს ამხანაგების განთავისუფლება; წააქციეს აფიცერი და იარაღი აჰყარეს. გამოიწვიეს ქვეითა ჯარის კაცების რაზმი და 45 კაცი კიდევ დაატყვევეს. ჯარი ძალიან აღელვებულია.

— 30 ივნისს ქ. კრონშტადში **ყველა** მატროსებს ერთხმად უარი უთქვამთ ამას წინად მოკლულ ადმირალ **ჩუხნინის** პანაშვიდზე დასწრებაზე.

— ტალღა ჯარის მოძრაობისა არა ჩერდება. როგორც „დვ. ვ.“-ს ატყობინებენ, 28 ივნისს „პანტელეიმონისა“ და „ჩესმის“ გემებზე ზღვაში კერჩის მახლობლად დიდი არეულობა მოხდა.

— მოძრაობის ტალღა ასხაბადსაც მოჰხვდა. იქ ერთი პოლკი აღელდა. სალდათებმა მოისურვეს აფიცრების დათხოვა და ახალ უფროსების არჩევა. ამ მოძრაობამ რკინის გზის მუშებიც ააღელვა და ადმინისტრაციამ სანდო ბატალიონი გაიყვანა მეამბოხეთა წინააღმდეგ. მაგრამ ამითაც არა გამოვიდა რა. სალდათები მხოლოდ 18 ივნისს დამშვიდნენ.

— ტამბოვში არეულობა ასე დაწყებულა: 3 სალდათი დააპატიმრეს რაღაცა საქმის გამო, მაგრამ, როდესაც აფიცერმა თავის სალდათებითურთ ამათი წაყვანა დააპირა, სალდათებმა უარი განაცხადეს. აფიცერი იძულებული იყო თვითონ წასულიყო სხვა სალდათების მოსაყვანად, რადგან არავინ არ გაეგზავნა. მობრუნდა თუ არა აფიცერი, სალდათები და დაპატიმრებულნი დაიშალნენ, დაბრუნდნენ ყაზარმებში და კრება გამართეს. იქ მივიდა მესამე დივიზიონიც, რომელსაც გაეგო ამხანაგების დაჭერის ამბავი. ნახევარ საათის შემდეგ მივიდნენ ყაზახები და ნეჟინის პოლკი. როდესაც უფროსებმა სროლა უბრძანეს, ნეჟინის პოლკმა იერიში მიიტანა მეამბოხებეზე. ყაზახები-კი ადგილიდან არ დაიძრნენ. ნეჟინელები გაიქცნენ. როდესაც აფიცერმა მეორედ უბრძანა სროლა, სალდათებმა ჰაერში გაისროლეს. მათი უფროსი გულ-განგმირული იქვე დაეცა. სროლის დროს ყაზახები თხრილში იყვნენ ჩასაფრებულნი და თოფს ისროდნენ. არავინ არ იცის, ვის ესროდნენ ყაზახები. ახლად მისულმა სუმის პოლკმა „დაამშვიდა“ მეამბოხენი.

ქრისტე ამ ქვეყნად

(ფანტაზია ტანისა)

ერთხელ პოლტავის გუბერნატორმა სთქვა: ქრისტე რომ ხელმეორედ ჩამოვიდეს ამ ქვეყანაზე, შეიძლება მე თვითონ დავატუსაღო.

... და ჩამოვიდა ქრისტე დედამიწაზე და დაინახა ადამიანვლეთით ცეცხლის ალი. სოფელს ცეცხლი ეკიდა. ხის სახლები მაშსალეებისავით ბრაწლებდენ. მოკლე ტანისამოსში გამოწყობილი და იარაღ ასხმული კაცები მუგუზლებს აქეთ-იქით ფანტავდენ, ხოლო გადარჩენილ სახლებს ზეთს ასხამდენ და ცეცხლს უკიდებდენ.

ნახევარ ვერსის საშორეზე დედაკაცები და ბავშვები თავლაზე ისხდენ და ცეცხლ წაკიდებულ სოფელს უყურებდენ. ტანზე ცხვრის ტყავის ნაფლეთები ეცვათ, ფეხები ჩვრებით ჰქონდათ შეხვეული. შავშვები შიმშილისგან და სიცივისგან წუნარად ტირიდენ, დედაკაცები კი ჩუმად იყვენ. მამაკაცები-რამდენიმე მოხუცის გარდა-ყველა ჩანდენ.

ქრისტე ახლო მივიდა და ჰკითხა:

— ეს თქვენი სოფელი იწვის?

— წინად ჩვენი იყო, ესლა კი ეშმაკისაა.— მიგო დედაკაცმა.

— სად არიან თქვენი ქმრები? — ჰკითხა ქრისტემ.

— დახოცეს! — მიუგო ერთმა დედაკაცმა და მწარე ქვითინი ამოუშვა.

— გაიქცენ! — უთხრა მეორემ.

ერთი მუჭა მამაკაცებში ქრისტემ დაინახა ორ კაცი, რომელთაც ისეთივე ტანისამოსი ეცვათ, როგორიც იმათ, რომელნიც სოფელს სწვავდენ. ერთს ფეხი არ ჰქონდა, მეორეს კი ხელის მაგივრად ცარელა სახელო ეკიდა.

— სად დაგაჭრეს ხელ-ფეხი? — ჰკითხა ქრისტემ.

— ომში. — მიუგეს დაჭრილებმა.

— ვისთან? აგერ იმათთან ხომ არა, რომელნიც თქვენ სახლებს სწვავენ?

— არა. ეგენი ჩვენი ძმები არიან. წინად ჩვენთან ერთად იბრძოდენ.

ქრისტე შეკრთა და სთქვა:—რათ გექცევიან ეგრე? რა დაეშავეთ? იქნება მათზე ძალა იხმარეთ! ეგრე არ შეიძლება. თქვენ უნდა დაგეჩოქნათ მათ წინაშე და სვეწნით მოგერბილათ მათი გული.

— ჩვენ ვტირიდით და ვემუდარებოდით. — მიუგო ერთმა დედაკაცმა. — ისინი კი მაინც მათრახებით გვცემდენ.

— მე წავალ და შევეხვეწები. - სთქვა ქრისტემ, მაგრამ სწორედ ამ დროს შეიარაღებული მხედრები წაადგენ თავზე.

— დაიჩოქეთ! — დაიყვირა ბელადმა და ბრბოც ბლავილით მუხლის თავებზე დაეცა.

— თქვენ ეი, ბირუტუებო! — დაიწყო ბელადმა. - უფრაზი ბელადი თხოულობს, რომ თქვენ წინამძღოლები გასცეთ, თორემ ესლავე ყველას დაგხვრეტავთ!

მხედრებმა თხუთმეტი კაცი გამოარჩიეს და ბოთრახების ცემით თავიანთ ბანაკისკენ გარეკეს, ქრისტეც მათ შორის მოჰყვა.

მხედრები უკან მისდევდენ ბატიმრებს და მათრახებს სცემდენ. და ქრისტეც მათ შორის იყო.

მხედრებმა მათ ტანისამოსი შემოხიეს, თოვლზე დააწვინეს და ცემა დაუწყეს. და ქრისტეც მათ შორის იყო. ის ყველაზე ახალგაზდა მოსჩანდა, ამიტომ მას ყველაზე ბევრს სცემდენ.

და შედაადა ქრისტემ უფალს: „უფალო, უფალო, რად გამოგზავნე აქ?“ — და როგორც უწინ, ჯვარზე-გული შემოეკრა.

* * *

ქრისტემ განაგრძო გზა. წინ შეხვდა დიდი ქალაქი, რომელსაც ეტყობოდა, რომ იქ წინა დღეს ბრძოლა უნდა ყოფილიყო. ზოგი სახლი დანგრეული იყო ყუმბარებით და ზოგი გაბზარული. აუარებელი სახლი ცხოვრობდა იმ ქალაქში, მაგრამ ქუჩაში არავინ მოსჩანდა, რადგან მთავარსარდალს არ სურდა, რომ ღამე ვინმე გამოსულიყო გარეთ. ქუჩებში მხოლოდ შეიარაღებული ყარაულები დადიოდენ, სახლი კი სახლებში მიმალულიყო და თრთოდა.

ქალაქი თორმეტ უბნად იყო გაყოფილი. ყოველ უბანში ცალკე სატუსაღო იყო აშენებული. თორმეტივე სატუსაღო ტუსაღებით იყო გაჭედილი. ნესტიან იატაკზე იწვენ. კრებები დაკეტილი იყო, სარკმელებს ფიცრები ჰქონდა აკრული. ფანჯრებთან და კარებებთან შეიარაღებული დარაჯები იდგენ.

ქრისტემ ერთ საკანში შეისედა და დაინახა ავად მყოფი დედაკაცი, რომელიც სიცხისგან იწოდა, ბოდავდა და ხელებს ითაურებდა, მაგრამ მშველელი არავინ იყო და წყალსაც არავინ აძლევდა. მეორე საკანში გაფეთრებული ახალგაზდა ემაწვილი ყელზე ყულფს იკეთებდა. ქვევით, სარდაფში ქვის სოროებში თითო კაცი იჯდა. სორო ისე ბატარა იყო, რომ ბატიმრები მოკუზულები ისხდენ და წელში ვერ გასწორებულიყვენ.

ერთ საკანში ფანჯარასთან ბირტიტველა ემაწვილი იდგა და ცდილობდა როგორმე ცის ნაწერი დაენახა, მაგრამ იმის წინ მხოლოდ ბნელი კედელი აუყენებულიყო.

ემაწვილმა ხელები აბაშერო ზეცისკენ და ლოცვა დაიწყო.

— შენ, უფალო, გესმის თუ არა ჩემი დედადი? ვინ გაჩინა ეს ქვეყანა? შენ თუ ეშმაკმა? შენ სარ ამ ქვეყნის ბატონი, თუ ტარტაროზი? სასწალი ნიადაგარიგით მოდის. ჩვენი საუკეთესო ხალხი ციხეებში ლუბება. ჩვენი ხალხი იღუბება, მაგრამ თუ ვინმემ ხმა ამოიღო, მას ისე ჭყლეტენ, როგორც ძაღლს. ახალგაზდა ქალებს მათრახებით სცემენ, დაქირავებული ჯაშუშები სახლიდან სახლამდის დაწრწიან და ფულზე ჭიედიან თავიანთ ძმებს. ვინც კენესის მათრახის ქვეშ, მას გაჩუმებას უბრძანებენ, მაგრამ ჩვენ არ გავჩუმდებით და გეკითხებით: „დმერთო! სად არის სამართალი შენი? ჩვენ არ გვენანება ჩვენი სიცოცხლე. ჩვენ გვენანება მხოლოდ ჩვენი სამშობლო. ჩვენი სამშობლო იღუბება და შენ, უფალო, იხსენ იგი სანამ დროა, თორემ მერე გვიანდა იქნება.

* * *

და წარუდგა ქრისტე ჭაბუკს და უთხრა:

— ნუ შედრკები, რამეთუ მე შენთან ვარ. მეც მტანჯეს და მაწამეს ხალხისადმი სიყვარულისთვის. სიყვარული სიკვდილზე მძლავრია. არა არს უძლიერესი იმ სიყვარულისა, რომელიც ადამიანს თავს გაწირვინებს თავის მოძმის გულისთვის.

— ქვეყნის კანონი ბრძოლასა და ტანჯვაშია და გარნა ამ გზისა სხვა გზა არა არის. ვინც ამ კანონს ასრულებს, ის ჩემი მოციქულია.

— ნუ სტირიან, როცა გადევნიან; ნუ სწუსართ, როცა გაბატიმრებენ, რამეთუ მეც თქვენთან ვარ.

— სად ვეძებო ჩემი მოციქულები და ჩემი ქადაგნი? ძვირფას ეკლესიებში მლოცავ მდვდელთა შორის? როცა მე ვიყავ ამ ქვეყნად, მდვდლები მდევნიდენ მე, მცემდენ სახეში და მიმცეს მტერ-

თა ჩემთა. დღეს ისინი ენითა თვისითა მიწამებენ მე, სოდო გული მათი ცოცხა, ვითა სამარე; კერძოთათუვანისმტერმლებმა არ იცოდენ და ცოდვის ჩადიოდენ, ესენი კი სხვას ასწავლიან და თვითონ ცოდვით სავსენი არიან; ქადაგებენ სიყვარულს, საქმით კი სთესენ სიძულვილს.

— სად ვეძიო ჩემი მოციქულები? მდიდრულ და საუცხოვო სასახლეებში მცხოვრებ ბატონთა და შბრძანებელთა შორის?

— მაგრამ უწინ მათ მომისაჯეს ტანჯვა და საკვდილი. დღეს კი ისინი ჩემს მტნებას ტეტხლითა და მახვილით სთელავენ. მე მიწოდებენ მეუფეთა მეფეს, მაგრამ მე მეფე არა ვარ. მე ვარ დამტველი და მეგობარი ყველა ტანჯულისა და დაჩაგრულისა.

— ან იქნება ჩემი მოციქულნი მსედართა შორის უნდა ვეძიო?

— მსედრებმა თავზე ეკლის გვირგვინი დამადეს და ფეხნი ჩემნი და სელნი ჩემნი ლურსმით მიაკრეს ჯვარზე.

— გული მდიდრისა ერუ არს მშიერის კვნესისადმი. ბედნიერთ არ ესმით უბედურთა ტანჯვა, სოდო ძლიერნი უძლურთ სისხლში ახრჩობენ. ჩემი გული უბედურებთან, ტანჯულებთან და მშიერებთან არის. მათ შორის მე დავუწყებ ძებნას მოციქულებს, რამე თუ ჩემი მოციქულთა გულიც მუდმივ უბედურ ძმებთან არს.

— ჩემ მოციქულებს აქვთ რწმენა და გული. რწმენისთვის ისინი დევნას იტანენ და სიკვდილსაც არ ერიდებიან.

— სტუსადოებში დავუწყებ ძებნას ჩემს მოციქულებს, რამე თუ მეც სტუსადოში ვიყავი.

— ნუ სწუხართ, როცა გდევნიან და სებერობილებში გამწყვდევენ, რამე თუ ამ ქვეყანას მე მოვუტანე მახვილი და არა მშვიდობიანობა. შვილნი ადგებიან წინააღმდეგ მამებისა, მონები—წინააღმდეგ ბატონებისა და ქალწულები-წინააღმდეგ მსედრებისა. მინდვრები უარს ამბობენ ნაყოფის მოტანაზე, მდინარეები შრებიან, კალეები გრიალით ინგრევიან და დედამიწა გუგუნებს და ინძრევა.

— ქვეყნის განკურნების დღე ახლოა.

— იცოდეთ, რომ, თუ უმანკო მშველი ვეფხსა ჭკლავს, ჩემი მოსვლის დღე ახლოა.

— თუ ნაზი ჯაბუკი თავის სიტოტლეს არ ინდობს, ჩემი მოსვლის დღე ახლოა.

— თუ სოფლის სამეფოში სახნისებისგან მახვილს სწედავენ და ნამგლებისგან ხანჯლებს აკეთებენ, ჩემი მოსვლის დღე ახლოა.

— ადოქმის დღე სატა მოეგლინება ამ ქვეყანას, რამე თუ ქვეყნის ბატონნი გახმენ და ქრიშხალი მოსტეხავს მათ და გადაჭერის უდაბნოსა შინა.

— და დაიფანტებიან ეოველ მხრივ სისხლის მდვრელნი და დაიწყებენ მადვას, მაგრამ მახვილი მათ ყველგან მოძებნის და ტეუილი იქნება მათი მუდარა და კბილთა დრჭენა. რამეთუ ვინც ქარს დასთესავს, იგი ქრიშხალს მოიმკის და ვინც ეცდება ზღვის დამორეკვას, იგი ზვირთებში დაიღუნება.

ასე სთქვა ძემ დვთისამ ქრისტემ:

— ჭეშმარიტ გეტყვით თქვენ: თქვენივე თვალით ნახავთ ადოქმის დღეს, თქვენივე თვალით ნახავთ სიმართლისა და შურის ძიების დღეს.

შურის მაძიებელი.

„გლეხის“ აგენტები პროვინციებში.

ქ. ქუთაისი: ქალაქის საბჭო, ვიქტორ მახვილაძე. წიგნის მაღაზია „კოლხიდა“.

ქ. ბათუმი: ქალაქის საბჭო, ბ. გამყრელიძე.

სადგური ხაშური: კასირი გიორგი ჩარხიშვილი.

ქიათურა: ბ. ბერიძე. ილიკო კაკაბაძე.

ყვირილა: წიგნის მაღაზია გაჩეჩილაძის. პლატონ ლეკვა.

ფოთი: ონისიმე ყვანია. მიხეილ ესაკია.

სამტრედია: კირილე კოხრეიძე.

დიდი-ჯიხაიში: ნიკოლოზ სოსელია.

ქ. გორი: მიხა ადუაშვილი.

ქ. დუშეთი: მღვდ. ტატუნაშვილი. ზაქ. სვიმონიძე.

ქ. თელავი: ივანე პაატაშვილი.

ქ. სიღნაღი: გიგო შაიშმელაშვილი.

დ. ხონი: მოსიკო ჭელიძე.

დ. ცხინვალი: ნიკო კასრაძე.

ქ. ოზურგეთი: პარმენ თოთიბაძე და გაზეთის ბიურო ტუღუშისა.

ქ. სოხუმი: ბ. ძიძიგური. ბ. თედო სახოკია.

ქ. ახალციხე: კოსტანტინე გვარამაძე.

ყველა ზემოხსენებულ პირებთან მიიღება ხელის მოწერა გაზეთ „გლეხზე“

რედაქტორ-გამომცემელი **მ. ადამაშვილი.**

სტამბა „**ი დ ე ა ლ ი**“ (მ. დ. კიკნაძისა)
ნიკოლოზის ქუჩა, მილოვის სახლი № 6.